რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება
უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და ავტორიზაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსი

- უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას.
- დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა.
- დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა.
- დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს 2018 წელს სამხატვრო აკადემიის ისტორიულ შენობაში (გრიბოედოვის 22) მიმდინარეობდა სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, გეგმის მიხედვით შენობაში უნდა განთავსებულიყო სალექციო დარბაზები, სამხატვრო სტუდიები, საგამოფენო და სამუზეუმო სივრცე, ბიბლიოთეკა.

ამჟამად სარემონტო სამუშაოები დამთავრებულია და შენობა ფუნქციონირებს სასწავლო-შემოქმედებითი პროცესის სრული დატვირთვით. სამხატვრო სტუდიების სივრცე - რაც მნიშვნელოვანია დარგობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე - კარგად არის მორგებული სტუდიური მუშაობის ხასიათს, როგორც მასშტაბებით, ასევე განათებით. იგივე შეიძლება ითქვას სამუზეუმო და საგამოფენო სივრცეებზე.

სამხატვრო სტუდია-ლაბორატორიები აღჭურვილია დარგობრივი ამოცანების შესაბამისად, რაც ასევე გადაწყვეტია პრაქტიკულ-შემოქმედებითი სასწავლო პროცესისთვის. ქანდაკების, ხატვის, ფერწერის, კერამიკის სახელოსნოებში არის აუცილებელი ძირითადი და დამხმარე ინვენტარი და აღჭურვილობა: ქანდაკების დაზგები და მასალა, დაფები, ტუმბოები, სადგარები, მოლბერტები, მოდელთან სამუშაოდ საჭირო ინვენტარი და მრავალფეროვანი მასალა, განსხვავებული ხასიათის, დარგობრივი და მხატვრული ამოცანისთვის გათვალისწინებული ატრიბუტიკა - თაბაშირის მოდელები (კლასიკური ქანდაკების ასლები, ნაკვეთები და სხვა) ატრიბუტიკა ნატურმორტებისთვის, კერამიკული ღუმელები, მასალა, სტელაჟები, თაროები ატრიბუტიკის და ნამუშევრებისთვის. ამ დროისთვის სასწავლო-პრაქტიკული სივრცეებიც და ინვენტარიც ჩართულია სასწავლო პროცესში.

პირველი ვიზიტის დროს ფუნქციონირებდა ახალი შენობა (ზუბალაშვილების 23). სწორედ ამ შენობის დათვალიერების შედეგად ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გაკეთდა შენიშვნები კონდიციონერების პრობლემასთან და სანიტარული კვანძების დაბალ ხარისხთან დაკავშირებით. თსსა 2021-2023 დამტკიცებული სამოქმედო გეგმის მიხედვით მიმდინარეობს სამხატვრო აკადემიის მაღლივი სასწავლო კორპუსის სრული რეაბილიტაცია და 2022 სასწავლო წლის მეორე სემესტრში შენობაში განახლდება სასწავლო პროცესი. შესაბამისად, აღნიშნული საკითხები უნდა იყოს მოგვარებული. ასევე სასწავლო სივრცეები

აღჭურვილი უნდა იყოს ისე, როგორც ამჟამად არის ისტორიულ შენობაში, აკადემიაში მოქმედი სახელოვნებო მიმართულების დარგობრივი პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, განსხვავებული ინვენტარით და ტექნიკით (მაგალითისთვის, აკადემიის სამოქმედო გეგმის მიხედვით, სასწავლო კორპუსში რეაბილიტაციის პროექტის დასრულების შემდეგ ყველა აუდიტორიაში დამონტაჟდება პროექტორები, როგორც სასწავლო პროცესის აუცილებელი ტექნიკური ელემენტი). აკადემიის ადმინისტრაციასთან საუბრიდან ირკვევა, რომ ამჟამად სამუშაოები დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს და შემსრულებლები დამთავრებას დროზე ადრე ვარაუდობენ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).
რეკომენდაციები: • საჭიროა ახალი შენობის მწყობრში ჩადგომასთან ერთად გამართულად ფუნქციონირებდეს კონდიციონერების სისტემა, სანიტარული კვანძები იყოს კეთილმოწყობილი; სივრცეებში თვალსაჩინოდ განთავსდეს სახანძრო და და ჯანმრთელობის უსაფრთხოების შესახებ ინფორმაცია. • სასწავლო სივრცეები აღჭურვილი უნდა იყოს აკადემიაში მოქმედი სახელოვნებო მიმართულების იმ დარგობრივი პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, განსხვავებული ინვენტარით და ტექნიკით, რომლებიც იმუშავებენ ახალ კორპუსში.
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ისტორიულ შენობაში სამხატვრო სტუდია-ლაბორატორიები აღჭურვილია დარგობრივი ამოცანების შესაბამისად, რაც ასევე გადამწყვეტია პრაქტიკულ-შემოქმედებითი სასწავლო პროცესისთვის. ქანდაკების, ხატვის, ფერწერის, კერამიკის სახელოსნოებში არის აუცილებელი ძირითადი და დამხმარე ინვენტარი და აღჭურვილობა: ქანდაკების დაზგები და მასალა, დაფები, ტუმბოები, სადგარები, მოლბერტები, მოდელთან სამუშაოდ საჭირო ინვენტარი და მრავალფეროვანი მასალა, განსხვავებული ხასიათის, დარგობრივი და მხატვრული ამოცანისთვის გათვალისწინებული ატრიბუტიკა - თაბაშირის მოდელები (კლასიკური ქანდაკების ასლები, ნაკვეთები და სხვა), ატრიბუტიკა ნატურმორტებისთვის, კერამიკული ღუმელები, მასალა, სტელაჟები, თაროები ატრიბუტიკის და ნამუშევრებისთვის. ამ დროისთვის სასწავლო-პრაქტიკული სივრცეებიც და ინვენტარიც ჩართულია სასწავლო პროცესში.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
7.2. საბიბლიოთეკო რესურსები
ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: გასულ წლებში ჩატარებული რემონტის შედეგად განახლდა საბიბლიოთეკო სივრცე, სათანადო ტექნიკით (ლიფტი) აღიჭურვა წიგნსაცავი, განახლდა სამკითხველო დარბაზი და პერსონალის სამუშაო სივრცე, ცალკე გამოიყო სივრცე ჯგუფური მუშაობისთვის. თუმცა საბიბლიოთეკო სივრცის აღჭურვის პროცესი

დასრულებული არაა და სავარაუდოდ დასრულდება 2021-22 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში. სარემონტო სამუშაოებისა და პანდემიის გამო ბიბლიოთეკის საქმიანობა ამჟამად წარიმართება ონლაინ-ფორმატში. ბიბლიოთეკის თანამშრომლები სოციალური ქსელის გამოყენებით არკვევენ აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების საჭიროებებს და ცდილობენ, მოკლე ვადაში უზრუნველყონ დაინტერესებული პირებისთვის სასურველი ლიტერატურის ელექტრონული ასლების მიწოდება. თსსა ასევე ზრუნავს თავისი რესურსებისა და სერვისების გაუმჯობესებაზე. ამის დასტურია თანამედროვე კომპაქტური სტამბის შეძენის პროექტი და ორგანიზაციასთან „ასოციაცია მეცნიერებისთვის“ დადებული ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც 2022 წლიდან თსსა-ის სტუდენტებს ექნებათ წვდომა სახელოვნებო პროფილის ინგლისურ- და რუსულენოვან სამეცნიერო ბაზებზე. 2018 წლის ავტორიზაციის დასკვნაში მოცემული რეკომენდაციები უკავშირდება, ერთი მხრივ, ქართული და ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოების შეძენის სტრატეგიასა და შესაბამისი ფინანსური რესურსების გამოყოფას და, მეორე მხრივ, სტუდენტებისა და პერსონალის ინფორმირებას საერთაშორისო ელექტრონული ბაზების შესახებ. მართალია, სახელმძღვანელოების შეძენის სტრატეგია ცალკე არსებული დოკუმენტის სახით არ მოიპოვება და სახელმძღვანელოები ან უცხოენოვანი ლიტერატურა არც ბიბლიოთეკის განვითარების კონცეფციაშია ნახსენები, მაგრამ აკადემიის ისტორიულ შენობაში სამუზეუმო და საბიბლიოთეკო ფონდების აღჭურვა გამოყოფილია ინფრასტრუქტურის განვითარების ერთ-ერთ მიზნად თსსა-ის სამწლიან სამოქმედო გეგმაში. თსსა-ის ბიუჯეტში კი ბოლოს გამოყოფილი იყო 15 000 ლარი ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთებისა და ყველა სახის საგანმანათლებლო-სასტამბო მომსახურებისთვის. ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ ახალი ლიტერატურის შეძენა ბიბლიოთეკის მიერ ხდება წელიწადში რამდენიმეჯერ პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა მოთხოვნების შესაბამისად. და ამ მხრივ, ფინანსურ სამსახურს რაიმე შეფერხებას არასდროს არ უჩენია თავი. ამრიგად, პირველი რეკომენდაცია შეიძლება ჩაითვალოს შესრულებულად. ხოლო საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზების შესახებ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებულობის გაზრდას ემსახურება ტრეინინგები და ვებინები, რომელთა შესახებაც ინფორმაცია ვრცელდება ელ.ფოსტითა და სოციალური მედიით. თუმცა შესაბამის ღონისძიებათა ბმულზე მოწონებათა რაოდენობით (3-3) თუ ვიმსჯელებთ, აშკარაა, რომ საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებით თსსა-ის სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა დაინტერესება ძალიან დაბალია. ეს დადასტურდა ინტერვიუებითაც: საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებს ძირითადად იყენებენ სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურების სტუდენტები, რომელთა რაოდენობაც მცირეა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • თსსა განმარტებითი ბარათი ავტორიზაციის მე-7 სტანდარტის რეკომენდაციებთან დაკავშირებით • თსსა სტრატეგიული განვითარების გეგმა 2018-2024 • თსსა საბიუჯეტო განაცხადი საქართველოს 2018-2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით გამოსაყოფ ასიგნებებზე და არასაბიუჯეტო შემოსავლებზე • ბიბლიოთეკის განვითარების სტრატეგიული გეგმა • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: • მნიშვნელოვანია, ბიბლიოთეკამ და აკადემიურმა პერსონალმა ერთობლივად იზრუნოს იმაზე, რომ სტუდენტებმა გამოიყენონ საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები.
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.3 საინფორმაციო რესურსი

- უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.
- ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგულია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშეწყობი მექანიზმები.
- უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

თსსა-ში განხორციელებული სარემონტო სამუშაოების შემდეგ ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ჯერ არ არის სრულად აღდგენილი. თუმცა საინფორმაციო რესურსების განვითარების მხრივ აშკარად შეიმჩნევა დადებითი დინამიკა. სახელდობრ, რეაბილიტირებულ შენობაში გაუმჯობესდა ხელმისაწვდომობა ინტერნეტზე; შეიქმნა კორპორაციული ელ.ფოსტის ბაზა; ფუნქციები დაემატა მართვის ელექტრონულ სისტემას „emis“. სტუდენტებისა და პერსონალისთვის ტექნიკური დახმარების უზრუნველსაყოფად საგანგებოდ შექმნილია საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის ელ.ფოსტის მისამართი და სპეციალური ჯგუფი სოციალურ ქსელში. თსსა-ს მოეპოვება ორენოვანი და მუდმივად განახლებადი ვებ-გვერდიც. ინტერვიუებიდან შევითქვით ასევე, რომ 2022 წლისთვის იგეგმება ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის სრული შეცვლა და განახლება. განახლების შედეგად თითოეულ სტუდენტს საუნივერსიტეტო სერვერზე ექნება პირადი სამუშაო სივრცე, რომელზე წვდომაც შესაძლებელი იქნება ნებისმიერი ადგილიდან. მისასალმებელია, რომ პანდემიის დროს სასწავლო პროცესის შეფერხების თავიდან ასაცილებლად თსსა-მ სტუდენტების საჭიროებების შესწავლის საფუძველზე (მედია-ხელოვნების მიმართულების) სტუდენტებს პირად მოხმარებაში გადასცა რამდენიმე კომპიუტერი.

2018 წლის ავტორიზაციის დასკვნაში მოცემული რეკომენდაციები დაკავშირებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიის შემუშავებასთან, მის განსახორციელებლად რეგულარული დაფინანსების გეგმის ამოქმედებასა და მისი განხორციელების მონიტორინგის მექანიზმებთან. მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკის, პროცედურების ან ადმინისტრირების წესების ამსახველი დოკუმენტი წარმოდგენილი არ ყოფილა, თსსა-ის სამოქმედო გეგმისა და ბიუჯეტის შესწავლა გვამღებს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებას საგანგებო ყურადღება ეთმობა თსსა-ში (ამაზე მიაწინებებს ის, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების სტრატეგიული განვითარების გეგმას 2021-23 წლებისთვის ცალკე თსსა-ის სამოქმედო გეგმის ცალკე დანართი ეთმობა) და შესაბამისი ინფრასტრუქტურის უზრუნველსაყოფად ყოველწლიურად გამოიყოფა სათანადო თანხებიც (მაგალითად, 16 200 ლარი — 2019 წელს, 7 000 — 2000 წელს). ინტერვიუების შედეგად გაირკვა, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შემოწმება ხორციელდება რეგულარულად (ყოველ მეორე დღეს), ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში იწერება მოხსენებითი ბარათი, რომლის საფუძველზე ხდება კომპიუტერის შესაბამისი ნაწილების შესყიდვა და შეცვლა. მოიპოვება სათანადო კომპიუტერებიც. ამრიგად, აღნიშნული რეკომენდაცია დიდწილად სრულდება ადმინისტრირების საუნივერსიტეტო პრაქტიკაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თსსა განმარტებითი ბარათი ავტორიზაციის მე-7 სტანდარტის რეკომენდაციებთან დაკავშირებით
- თსსა სტრატეგიული განვითარების გეგმა 2018-2024

• <i>თსსა საბიუჯეტო განაცხადი საქართველოს 2018-2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით გამოსაყოფ ასიგნებებზე და არასაბიუჯეტო შემოსავლებზე</i> • ხელშეკრულებები მართვის ელექტრონული სისტემების მომსახურების შესახებ • სილქნეტთან დადებული ხელშეკრულებები • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: • მნიშვნელოვანია, თსსა-მ შეიმუშავოს დოკუმენტი, რომელშიც აისახება ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა, პროცედურები, სტანდარტი, განვითარების სტრატეგია, საინფორმაციო ინფრასტრუქტურის ადმინისტრირებისა და ანგარიშვალდებულების წესი.
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
7.4 ფინანსური რესურსი
○ უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია. ○ უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას. ○ უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე. ○ უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება. ○ უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: 2018 წელს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ 7.4 ქვესტანდარტთან მიმართებაში გაიცა შემდეგი რეკომენდაციები: • 7.4.1 ექსპერტთა ჯგუფის მიერ რეკომენდებულია, ფინანსური საჭიროებების ალტერნატიული წყაროებისთვის სტრატეგიის შემუშავება, რომელიც მოიცავს თვითგამომუშავებული შემოსავლებსა და ფინანსების მოზიდვას და უზრუნველყოფს უფრო გრძელვადიან ფინანსურ სტაბილურობას; • 7.4.2. ექსპერტთა ჯგუფმა მოისმინა ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმილ ზრდასთან დაკავშირებით და გასცემს რეკომენდაციას, რომ საჭიროა ამ საკითხზე მკაფიო გადაწყვეტილების მიღება და პერსონალთან განხილვა და ნებისმიერი გადაწყვეტილების შემთხვევაში ფინანსური შედეგების სრულად გათვალისწინება.

როგორც დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, დაწესებულებას აქვს დაფინანსების ორი ძირითადი წყარო: საბიუჯეტო ასიგნებები კულტურის სამინისტროდან და არასაბიუჯეტო შემოსავლები — განათლების სამინისტროდან სტუდენტებისთვის გადახდილი გრანტები, ასევე, სტუდენტების მიერ გადახდილი თანხები — სწავლის საფასური. ამჟამად დაწესებულებაში აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე დაახლოებით 1700 სტუდენტია. საანგარიშო პერიოდში სტაბილურად ყოველწლიურად ბაკალავრიატში ირიცხება დაახლოებით 320 სტუდენტი, მაგისტრატურაში — დაახლოებით 100 სტუდენტი, მობილობით იღებენ დაახლოებით 50 სტუდენტს, ხოლო დოქტორანტურაში ირიცხება დაახლოებით 10 სტუდენტი. მისაღები გამოცდების შედეგად შეუვსებელი ადგილები არ რჩება.

საბიუჯეტო ასიგნებებით კულტურის სამინისტროდან მიღებული თანხა (დაახლოებით 2 მლნ. 885 ათასი ლარი) არის დაწესებულების მთლიანი ბიუჯეტის დაახლოებით 50%, ხოლო არასაბიუჯეტო დაფინანსებაც დაახლოებით 50%-ია. დაწესებულების ხარჯების დაახლოებით 85% არის ხელფასების სახით გაცემული თანხები. არასაბიუჯეტო შემოსავლებში სტუდენტური გრანტების წილი არის დაახლოებით 20%. სტუდენტთა უმრავლესობა თავად იხდის სწავლის საფასურს და დაწესებულებას უწევს ლავირება, რათა ნიჭიერ სტუდენტებს გადაუხდელობის გამო არ შეუჩერდეს სტუდენტის სტატუსი. მიმდინარე ეტაპზე ალტერნატიული წყაროებიდან შემოსავლების წილი მთლიან შემოსავლებში არ არის დიდი, რადგან დაწესებულებას ალტერნატიული შემოსავლების წყაროების მოძიება ახალი დაწყებული აქვს და ბოლო ეტაპამდე მიმდინარეობდა შენობა-ნაგებობების სარესტავრაციო სამუშაოები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებიდან დამატებით გამოთხოვილ დოკუმენტაციაში ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მოიძია საანგარიშო პერიოდში (2018, 2019 , 2020, 2021 წლები) ბიუჯეტები და 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი. დაწესებულებამ წარმოადგინა 2018-2021 წლებში დაწესებულების საბიუჯეტო განაცხადი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით გამოსაყოფ ასიგნებებზე და არასაბიუჯეტო შემოსავლებზე (დოკუმენტს აწერია 2017 წელი, თბილისი). აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს 2016 და 2017 წ. დამტკიცებულ საბიუჯეტო გეგმას, 2018 წლის პროექტს, აქვე არის 2018-2021 წლების განაცხადი, სადაც მითითებულია 2019 და 2020 ბიუჯეტის პროგნოზები, ხოლო 2021 წლის ბიუჯეტის პროგნოზის გრაფა ცარიელია). საანგარიშო პერიოდში დაწესებულების ბიუჯეტები წლების მიხედვით ვერ იქნა მოძიებული ვერც დაწესებულების ვებ-გვერდზე <https://art.edu.ge/acgeo/index.php?do=cat&category=1-5-2> (ვებ-გვერდის ბოლო ნახვის თარიღი: 18.12.2021წ.)

საანგარიშო პერიოდში დაწესებულებამ ზემოთ აღნიშნული რეკომენდაციების შესრულების მიზნით განახორციელა მთელი რიგი ქმედებები და შეიმუშავა ღონისძიებათა გეგმა, რომელიც ასახულია დაწესებულების 7 წლიან სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამწლიან სამოქმედო გეგმებში (2018-2020 წწ. და 2021-2023წწ.). მაგალითად, დაწესებულების 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმაში ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს ინსტიტუციური განვითარება. ამ სტრატეგიული მიზნის მისაღწევად ერთ-ერთ ამოცანად 2022 წლის იანვარ-თებერვალში განსაზღვრულია „სამხატვრო აკადემიის ალტერნატიული შემოსავლებითვის რეგულაციისათვის ბრძანების გამოცემა, ლურჯი სუფრების ლაბორატორიის პროდუქციის დივერსიფიკაციის გეგმა“. შესაბამისად, ბრძანებით განისაზღვრება შემოსავლების ალტერნატიული წყაროები, ტარიფები.

გარდა ამისა, სამოქმედო გეგმის კიდევ ერთი სტრატეგიული მიზნის „სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება“ მისაღწევად 2021-2023 წწ-ში დასახულია შემდეგი ამოცანა: „საგრანტო დაფინანსების მოპოვების მიზნით ინდივიდუალურ და ინსტიტუციონალურ პროექტებზე მუშაობა, საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით საერთო პროექტების განხორციელება“, რაც ითვალისწინებს პროექტების მომზადებას, წარდგენასა და პროექტების შესრულებას.

აღსანიშნავია, რომ სამწლიანი სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული მიზანია „სახელოვნებო და სამეცნიერო პროდუქტის კომერციალიზაციის, სამეწარმეო, ინოვაციური და სამეცნიერო მეწარმეობის იმპლიმენტაცია“. მოცემული სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დაწესებულებას შემუშავებული აქვს სახელოვნებო და სამეცნიერო პროდუქტის კომერციალიზაციის, სამეწარმეო, ინოვაციური და სამეცნიერო

მეწარმეობის იმპლიმენტაციის/განვითარების გეგმა, სადაც მითითებულია კონკრეტული აქტივობები და მათი განხორციელების კალენდარი.

როგორც დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განმარტებითი ბარათითა და ანგარიშ-ფაქტურებით დგინდება, ექსპერტების მიერ გამოთქმული რეკომენდაციების თანახმად დაწესებულებაში უკვე ფუნქციონირებს სტრუქტურული ერთეულები, რომლის ერთ-ერთი მიზანია დაწესებულებისთვის დამატებითი ფინანსური შემოსავლების მოზიდვა. მაგალითად, 2018 წლიდან დღემდე „ლურჯი სუფრების ლაბორატორიის“ საკუთარი შემოსავლები შეადგენს: 2018 წელი - 64398.00 ლარი, 2019 წელი -147783.00 ლარი, 2020 წელი -13486.00 ლარი, 2021 წელი -27809.00 ლარი. მართალია, შემოსავლები „ლურჯი სუფრების ლაბორატორიიდან“ ბოლო წლების განმავლობაში შემცირებულია პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური პრობლემების შესაბამისად. თუმცა შეზღუდვების მოხსნის შემდეგ შემოსავლების დინამიკა კვლავ მზარდია. **ალტერნატიული შემოსავლების წყაროა, ასევე, კონსერვაციის კვლევითი-დიაგნოსტიკური ლაბორატორიის შემოსავლებიც, რაც 2018-დან დღემდე შეადგენს 300 000 ლარს.**

ამასთან, აღსანიშნავია, რომ **ალტერნატიული შემოსავლების ერთ-ერთ ძირითად წყაროდ მიჩნეულია აკადემიის ისტორიული შენობის რესურსი**, რაც დადასტურებულია შემოთავაზებებით სხვადასხვა ტურ-ოპერატორების და კერძო პირების მხრიდან. ასევე სხვადასხვა ორგანიზაციების მხრიდან აკადემიის დარბაზებში სხვადასხვა სემინარების/ვორქშოპების ჩატარების სურვილით. დაწესებულების ისტორიული შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო 2015 წლის 3 ნოემბერს და დასრულდა 2020 წლის 28 სექტემბერს. სამუშაოები ჩატარდა 6 ეტაპად, შენობის არქიტექტურამ და ასევე ავარიულმა მდგომარეობამ გამოიწვია სამუშაოების 5 წლით გაგრძელება. ისტორიული შენობის რეაბილიტაციის პროექტის საბოლოოდ დასრულების შემდეგ კულტურული მემკვიდრეობის ეს უნიკალური ძეგლი ღიაა დამთვალიერებლებისათვის და თბილისის ისტორიული ხუროთმოძღვრების გამორჩეულ ადგილს იკავებს.

დაწესებულება ახორციელებს და მომავალშიც გეგმავს მის მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობების ფართის (დარბაზებისა და საგამოფენო სივრცეების) გაქირავების გზით დამატებითი შემოსავლების მიღებას. ამის დასტურად წარმოდგენილია ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა დაწესებულების ისტორიული შენობის (გრიბოედოვის ქ. #22) კვადრატული მეტრი ფართის დღიური საიჯარო საბაზრო ღირებულების შეფასების შესახებ. ამასთან, წარმოდგენილია სხვადასხვა ეკონომიკურ აგენტებთან აღნიშნული შენობით კომპლექსური მომსახურების ხელშეკრულებები. დასკვნის შესაბამისად განისაზღვრა აკადემიის მუზეუმის ცალკეული სივრცეების საიჯარო დღიური ქირა ღონისძიებებისათვის. ამ მიმართულებით დაწესებულებას აქვს პირველი შემოსავალიც - 3600 ლარი.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულება გეგმავს დამატებითი შემოსავლების მიღებას დაწესებულების მუზეუმში შესასვლელი ბილეთებითა და მომსახურების ფასების საშუალებით. დაწესებულებაში შემუშავებულია ბრძანების პროექტი დაწესებულების მუზეუმის შესასვლელი ბილეთისა და მომსახურების ფასების დადგენის შესახებ. შემუშავდა მუზეუმის მომსახურების გადასახადების დოკუმენტი (პროექტი) (მუზეუმის შესასვლელი ბილეთები, გიდის მომსახურება, სხვადასხვა სახის ფოტოსესიები, ვიდეო-გადაღება: სარეკლამო კლიპი, ფილმის კადრები, საგამოფენო და კულტურულ - საგანმანათლებლო ღონისძიებები, კონფერენციები/ფორუმები, სემინარები, პრეზენტაცია; ექსპონატების ფოტოების სხვადასხვა ბეჭდურ და კვლევით მასალებში გამოყენება). მუზეუმის რეაბილიტირებულმა სივრცეებმა რეაბილიტაციის დასრულების დღიდანვე განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია სხვადასხვა სფეროს ინსტიტუციების მხრიდან. **როგორც დაწესებულების ადმინისტრაციასთან ინტერვიუთი დადგინდა, ამ დროისთვის უკვე არსებობს რამდენიმე წინადადება, რომელიც მოიცავს როგორც ფილმების კადრებისთვის გადაღების, ასევე სხვადასხვა ტურისტული და სარეკლამო ხასიათის შეთავაზებას, რომლებიც შესაბამისი მომსახურების საფასურის საფუძველზე განხორციელდება.**

როგორც დაწესებულების ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, ფინანსური რესურსების მოზიდვის კუთხით სუსტი მხარეა ზოგადად სახელოვნებო განათლების დაფინანსების მოდელი. სახელმწიფო გრანტებზე წვდომა აკადემიის სტუდენტებს აქვთ შეზღუდული, იმიტომ რომ დღემდე

არსებული მოცემულობით გრანტის მოსაპოვებლად მისაღებ გამოცდებზე უნდა ჩაებარებინათ ან მათემატიკა ან ისტორია. დაწესებულება იმედოვნებს, რომ 2022 წლისათვის ვითარება შეიცვლება, რადგან მისაღებ გამოცდებზე დაემატა საგანი „ხელოვნების ისტორია“. არსებული ფინანსური რესურსების ფარგლებშიც კი დაწესებულებას აქვს სტუდენტთა ხელშეწყობის პროგრამა: ზაფხულში დაწესებულება ატარებს ხატვის ტურს და ამ ტურის შემდეგ ეროვნული გამოცდებით მიღებულ ნიჭიერ სტუდენტებს აქვს შესაძლებლობა ისწავლოს უფასოდ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, დაწესებულება ზრუნავს ალტერნატიული შემოსავლების მოზიდვაზეც. რადგან დაწესებულება განთავსებულია ისტორიულ შენობაში (სამუზეუმო-სახელოვნებო სასახლეში), ეს იწვევს დიდ ხარჯებს, ისტორიულ შენობებს ჰქირდება მოვლა-კონსერვაცია და ა.შ. თუმცა დიდი ინტერესი გამოიწვია რეაბილიტურებულმა შენობამ და მოთხოვნა დაწესებულების სივრცეების ქირაობაზე იზრდება. მაგალითად, **როგორც ინტერვიუს დროს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა აღნიშნა**, სულ რაღაც ერთკვირიან მონაკვეთში დაახლოებით 5-6 ათასი ლარი იყო მობილიზებული ამ გზით. ქონების ყოველდღიურ გაქირავებას იწყებენ უახლოეს პერიოდში და მალე ექნებათ ჩამოყალიბებული სტრატეგია. უახლოეს პერიოდში სრულდება კაფეტერიის მოწყობა და შესაძლებელი იქნება, რომ ტუროპერატორების მიერ გარედან შემოყვანილმა ჯგუფებმა ლანჩის მომსახურებისთვის 1-1,5 საათის განმავლობაში საფასური გადაიხდონ. გარდა ამისა, დაგეგმილია მოსამზადებელი კურსები ხელოვნების ისტორიაში აბიტურენტებისთვის შესათავაზებლად. დაწესებულება იმედოვნებს, რომ ხელოვნების ისტორიის მისაღებ გამოცდებზე დამატების შემდეგ გრანტიან სტუდენტებსაც მიიღებენ.

დაფინანსების კუთხით გარკვეული ინსტიტუციური რისკები არსებობს სტიპენდიების საკითხთან დაკავშირებით. დაწესებულება სტიპენდიებს იღებდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან. მიმდინარე ეტაპზე კულტურის სამინისტროს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან გამოყოფის შემდეგ ვეღარ ხერხდება აღნიშნული სტიპენდიების მიღება და დაწესებულება შიდა წყაროებიდან გასცემს ამ სტიპენდიებს. ამასთან, კვლევითი პროექტების დაფინანსებისთვის ქვეყანაში არის მხოლოდ რუსთაველის ფონდი, რომელიც გასცემს სამეცნიერო-კვლევითი გრანტებს. დაწესებულებას წვდომა გრანტებზე შეზღუდული აქვს დაწესებულების პროფილიდან გამომდინარე. **მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებას მიმდინარე ეტაპზე მოზიდული აქვს ბრიტანეთის საბჭოს 5-წლიანი გრანტი, რომელიც ხელს უწყობს დაწესებულების პროდუქტების და სამეცნიერო კვლევების კომერციალიზაციას.** უკვე სამი წელია ფუნქციონირებს ბიზნეს ინკუბატური (ფაბლაბი), იხსნება სამეწარმეო ცენტრი და იგეგმება ამ ცენტრების ფარგლებში ტრეინინგები და სხვა ფასიანი შეთავაზებები რეგიონებისთვის. დაგეგმილია ინტერდისციპლინური მიდგომებით სხვა უსდ-ებთან ერთად ალიანსში ბაზრისთვის ახალი პროდუქტების შეთავაზება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს გზით და დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი სხვა მასალების საფუძველზე დაადგინა, რომ დაწესებულება გეგმავს, მომავალი წლიდან შეიმუშაოს ინსტიტუციურად გაწერილი და დამუშავებული სტრატეგია ალტერნატიული წყაროების მოსაზიდად, ამჟამად მიმდინარეობს მუშა პროცესი და უახლოეს პერიოდში გაიშვება კომპლექსური მომსახურების პაკეტი, რომელიც დამატებით შემოსავალს მოუტანს დაწესებულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ 7.4 ქვესტანდარტის პირველი რეკომენდაცია მეტწილად შესრულებულია, რაკი ჯერ კიდევ არ დასრულებულა დაფინანსების ალტერნატიული წყაროების მოზიდვის სტრატეგიის შემუშავება.

დაწესებულების ადმინისტრაციასთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუსა და დაწესებულებიდან მიღებული განმარტებითი ბარათის საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ დაწესებულება არ განიხილავს სტუდენტთა რაოდენობის ზრდას ფინანსური შემოსავლების გაზრდის ერთ-ერთ წყაროდ. სახელოვნებო განათლების სპეციფიკიდან გამომდინარე დაწესებულებისთვის არსებითია ჯგუფებში სტუდენტთა ოპტიმალური რაოდენობის (5-8

სტუდენტი) შენარჩუნება. სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობის წილი ტრადიციულად ძალიან მაღალია, სწავლების ამ თავისებურებიდან გამომდინარე, დაუშვებელია ჯგუფების რაოდენობის ზრდა.

ამასთან, 2018 წელს თსსა ინიციატივით და კულტურის სამინისტროსთან შეთანხმებით სახელოვნებო უნივერსიტეტებმა შეიმუშავეს დაფინანსების საკუთარი მოდელი, რომელიც დაეფუძნა სახელოვნებო პროგრამების რეალური ღირებულების გამოთვლის შედეგებს და მის ანალიზს. აღნიშნული სამუშაოს პრეზენტაცია 2021 წლის აპრილ-ივნისში რამდენჯერმე მოხდა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროში. პრეზენტაციებში ხაზგასმით იყო დაფიქსირებული დაწესებულების პოზიცია არსებული კონტინგენტის შემცირების აუცილებლობასთან დაკავშირებით და, ასევე, საგანმანათლებლო პროგრამების დიფერენცირებული ღირებულების საკითხთან დაკავშირებით. ამავე წლის მაის-სექტემბერში სახელოვნებო უნივერსიტეტების წარმომადგენლებმა მჭიდროდ ითანამშრომლეს მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტის უცხოელ და ქართველ ექსპერტებთან, რომელთა მიზანი იყო უმაღლესი განათლების დაფინანსების ახალი მოდელის შემუშავება. სამუშაო პროცესში ექსპერტების მიერ გაზიარებული იყო სახელოვნებო უნივერსიტეტების პოზიცია, რაც სათანადოდ აისახა უმაღლესი განათლების წარმოდგენილ მოდელში ახალი ქვეთავის გაჩენით - სახელოვნებო განათლების დაფინანსების სპეციფიკის შესახებ. დაწესებულების მიერ მომზადებულ და წარდგენილ პრეზენტაციაში ნათლად არის ასახული პროგრამის რეალური ღირებულების გამოთვლის მეთოდოლოგია, არსებული კონტინგენტი და მისი ეტაპობრივი კლების სქემა. განვითარების ეს სტრატეგია გაზიარებულია დაწესებულების აკადემიურ პერსონალის მიერ და არაერთხელ დაფიქსირებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში სამუშაო შეხვედრების ფორმატში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ 7.4. ქვესტანდარტის მეორე რეკომენდაცია შესრულებულია სრულად, კერძოდ, დაწესებულებას სტუდენტთა კონტინგენტის საკითხთან დაკავშირებით დაწესებულებას მიღებული აქვს მკაფიო გადაწყვეტილება, რაც განხილულია პერსონალთან და დაწესებულება აცნობიერებს მოსალოდნელ ფინანსურ შედეგებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა (2018-2024 წწ.)
- დაწესებულების სამოქმედო გეგმა (2021-2023 წწ.);
- დაწესებულების სამოქმედო გეგმა (2018-2020 წწ.);
- დაწესებულების სახელოვნებო და სამეცნიერო პროდუქტის კომერციალიზაციის, სამეწარმეო, ინოვაციური და სამეცნიერო მეწარმეობის იმპლიმენტაციის განვითარების გეგმა (2018-2024 წწ.)
- ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებიდან გამოთხოვილი დამატებითი დოკუმენტაცია-დაწესებულების განმარტებითი ბარათი და პრეზენტაცია პროგრამის რეალური ღირებულების გამოთვლის მეთოდოლოგიის შესახებ;
- დაწესებულების განმარტებითი ბარათი ავტორიზაციის მე-7 სტანდარტის რეკომენდაციებთან დაკავშირებით;
- ინტერვიუ დაწესებულების ადმინისტრაციისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ავტორიზაციის შესახებ, 2018 წ.;
- ბრძანება დაწესებულების მუზეუმის შესასვლელი ბილეთისა და მომსახურების ფასების დადგენის შესახებ;
- ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა;
- სხვადასხვა ეკონომიკურ აგენტებთან იჯარისა და დაწესებულების ფართით კომპლექსური მომსახურების ხელშეკრულებები;
- კონსერვაციის ცენტრის დაფინანსება;
- 2018-2021 წლებში დაწესებულების საბიუჯეტო განაცხადი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით გამოსაყოფ ასიგნებებზე და არასაბიუჯეტო შემოსავლებზე.

რეკომენდაციები: • დასრულდეს დაფინანსების ალტერნატიული წყაროების მოზიდვის სტრატეგიის შემუშავება.
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან